GRASS FACTCHECK

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 23
თარიღი 2 02 2017 წ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საკუთარ ოფიციალურ გვერდზე (police.ge) გამოქვეყნებულ კრიმინალის სტატისტიკაში, რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობა არ ემთხვევა ჩაშლილი დანაშაულების არითმეტიკულ ჯამს.
ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ „საერთო რაოდენობაში“ არ არის ასახული დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ (მ.259[1] -259[4]) და ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის შემთხვევები (მ.322[1] -322[2]).
როგორც ჩანს, აღნიშნული არ წარმოადგენს თვლისას დაშვებულ მექანიკური შეცდომას, რადგან 2013 წლიდან მოყოლებული ყველა სტატისტიკაში (ყოველთვიური, რამდენიმე თვის კუმულატიური თუ წლიური) მეორდება მსგავსი ფაქტი.
მაგალითისთვის, წარმოდგიდგენთ რამდენიმე სტატისტიკას:

იანვრის სტატისტიკა:

- 2013 წელს საერთო რაოდენობაში მითითებულია 3 927. ჩაშლილი დანაშაულების არითმეტიკული ჯამი კი 3 931-ია.
- 2014 წელს, საერთო რაოდენობა - 3 768, არითმეტიკული ჯამი - 3 775.
- 2015 წელს, საერთო რაოდენობა - 3 062, არითმეტიკული ჯამი - 3 065.
- 2016 წელს, საერთო რაოდენობა - 3 183, არითმეტიკული ჯამი - 3 185.

იანვარ-ივნისის სტატისტიკა:

- 2014 წელს, საერთო რაოდენობა - 18 339, არითმეტიკული ჯამი - 18355. სხვაობა 16 ერთეულია.
- 2015 წლის, საერთო რაოდენობა 17 434, არითმეტიკული ჯამი - 17 446. სხვაობა 12 ერთეულია (მათგან კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ 1 დანაშაული, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის 11 შემთხვევა.
- 2016 წელს, საერთო რაოდენობა 18782, არითმეტიკული ჯამი - 18 793.

იმას, რომ ცდომილებას სწორედ ზემოთხსენებული ორი სახის დანაშაული იწვევს, მოწმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფაქტ-მეტრისთვის 2016 წლის 2 დეკემბერს მოწოდებული 2016 წლის იანვარ-ივნისის სტატისტიკური ანგარიში (წერილის N 3008186), სადაც რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობად მითითებულია 18 782, ხოლო დანშაულთა ჩამონათვალის არითმეტიკული ჯამიც 18 782-ია, ვინაიდან სწორედ ზემოთხსენებული ორი დანაშაული არ არის ჩამონათვალში გათვალისწინებული.

GRASS FACTCHECK

გთხოვთ, განგვიმარტოთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკაში, საერთო დანაშაულებში, რატომ არ აისახება კულტურული მემკვიდრეობისა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის შემთხვევები, მაშინ როდესაც აღნიშნული დანაშაულები, სხვადა დანაშაულებთან ერთად ჩამონათვალში არის მოხსენიებული.

პატივისცემით,

დიმიტრი ავალიანი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი,

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
თამარ ქეცბაია

ტელ: 599 27 72 11
e-mail: tkets11@freeuni.edu.ge

GRASS
406077579
NNLE Georgia's Reforms Associates